**საქართველოს გარემოს დაცვისა  და სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

**სკოპინგის დასკვნა # 89**

**29.08.2019**

**საერთო მონაცემები:**

**საქმიანობის დასახელება:** ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობა.

**საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი:** შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ივ. ჯავახიშვილის ქ.#4;

**საქმიანობის განხორციელების ადგილი:** გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფი;

**განაცხადის შემოსვლის თარიღი:** 17. 06. 2019

**მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ:** შპს „ა.მ კონსალტინგი“

**ძირითადი საპროექტო მონაცემები:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ მიერ წარმოადგენილ იქნა ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის სკოპინგის ანგარიში.

შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ საწარმო ფუნქციონირებს 2015 წლიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში. ტერიტორიის საკადასტრო კოდია 81.10.17.824; 81.10.17.823 (ტერიტორიის ძველი ნომერი 81.10.17.316). საწარმოს განთავსების ტერიტორია წარმოადგენს შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ საკუთრებას და მისი ფართობი შეადგენს 7800მ$^2$. აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ საქმიანობას ახორციელებს 2015 წლის 29 დეკემბერს გაცემული №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის და 2017 წლის 11 იანვარს გაცემული №4 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად.

მიმდინარე წლის 17 ივლისს სამინისტროს მომართა შპს „მედიკალ ტექნოლოგმა“  და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულ საწარმოზე 2019 წლის 26 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-714 ბრძანებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შპს „მედიკალ ტექნოლოგის“  ,,ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციაზე'' გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოს ტერიტორიიდან მოსახლეობა დაშორებულია 1200 მ-ით. აგრეთვე მის სიახლოვეს, დაახლოებით 80 მ-ში მიედინება მდინარე ლოჭინი. საწარმოდან უახლოესი

სამეწარმეო ობიექტი მეფრინველეობის ფაბრიკა მდებარეობს 370 მ-ში, ხოლო მეღორეობის ფერმა 250 მ-ში.

შპს „მედიკალ ტექნოლოგმა“ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ საწარმოში ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლის (სახიფათო ნარჩენი) განსათავსებლად საწარმოს ტერიტორიაზე მოაწყოს მიწისქვეშა საწყობი. ამ ეტაპზე ფერფლის განთავსება და დასაწყობება ხდება საწრმოს ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ შენობაში. გარდა ამისა, დაიგეგმა, რომ ორი მოქმედი ინსინერატორიდან ერთ-ერთი შეიცვალოს სათადარიგო ინსინერატორით, რომელსაც გააჩნია განსხვავებული კონფიგურაცია და ტექნოლოგიური მახასიათებლები.

ამ დროისთვის ნარჩენების ინსინერაციის უბანზე განთავსებულია 150 კგ/სთ წარმადობის მქონე ორი ინსინერატორი. საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 340 დღეს, ხოლო დღეში 16 საათს. ორივე ინსინერატორის მუშაობის შემთხვევაში საწარმოში ხდება წელიწადში 1632 ტ ნარჩენის ინსინერაცია.

ინსინერაციის უბანზე გაუვნებლობის მიზნით მიმდინარეობს სამედიცინო ნარჩენების (გარდა რადიოაქტიულისა), ფარმაცევტული ნარჩენების, ჩამოწერილი მედიკამეტების, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული წამლების, კვების პროდუქტების, ჰიგიენური საშუალებების, მაკულატურის, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნიადაგის, ჩვრების, ფილტრების და სხვადასხვა სპეც. ტანსაცმლის, მეფრინველეობის ფაბრიკებში და სასაკლაოებზე წარმოქმნილი ცხოველური ნარჩენების, სხვადასხვა ბიოორგანული ნარჩენების, არაფეთქებადი სითხეების და სხვა ნარჩენების ინსინერაცია.

ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლის განთავსების მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია სპეციალური შენობა, რომელიც შედგება ორი განყოფილებისგან. პირველ განყოფილებაში ხდება ნაცრის განთავსება გაგრილების მიზნით, პოლიეთილენის ტომრებში მოთავსების შემდგომ მისი უსაფრთხო დასაწყობება ხდება საცავის მეორე განყოფილებაში. დღეის მდგომარეობით არ არსებობს სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის განკუთვნილი ობიექტი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა, იმისათვის, რომ მიიღოს სხვა მეწარმე სუბიექტების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენი, შესაბამისად აღნიშნულ საწარმოში ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლის გატანა სხვა ტერიტორიაზე არ ხდება.

სამინისტროში წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ გეგმავს ერთ-ერთი ინსინერატორის ჩანაცვლებას ყაზახური კომპანის წარმოებული ТОО ,,Профиль-М’’-ის მოდელ ,,ვესტა პლუსის’’ სათადარიგო ინსინერატორით, რომლის წარმადობა იქნება დღე-ღამეში 3000კგ, საათში 125 კგ. სათადარიგო ინსინერატორი შედგება ვერტიკალური და ჰორიზონტალური წვის კამერებისგან. ჰორიზონტალურ წვის კამერაში მიმდინარეობს უშუალოდ ნარჩენების წვის პროცესი, რის შემდეგადაც რჩება არაწვადი ნარჩენის ნაწილაკები, რომლებიც ნამწვ აირებთან ერთად გადადიან ვერტიკალური წვის კამერაში, სადაც ჰაერის დამატებითი ნაკადის პირობებში მიმდინარეობს სრული წვის პროცესი. ვერტიკალური წვის კამერაში დამატებითი მიმდინარე წვის პროცესების შედეგად მცირდება ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა.

წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ფერფლის (სახიფათო ნარჩენის) განთავსებისთვის, საწარმოში გათვალისწინებულია მიწისქვეშა საწყობის მოწყობა. მიწისქვეშა საწყობის კედლები ბუნებრივი გრუნტის იზოლირებული იქნება წყალგაუმტარი ბეტონის კედლებით. მიწისქვეშა საწყობის პარამეტრები შესაბამისობაში იქნება საწარმოში წარმოქმნილი ფერფლის მოცულობასთან.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 10 ივლისს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფის საზოგადოებრივი ცენტრის შენობაში სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ შპს ,,მედიკალ ტექნოლოგის'' და საკონსულტაციო ორგანიზაციის, შპს ,,ა.მ. კონსალტინგის წარმომადგენლები, ასევე სოფ. მარტყოფის მოსახლეობა.

დამსწრე საზოგადოებამ, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებამდე დააფიქსირა უარყოფითი განწყობა და დამოკიდებულება დაგეგმილი საქმიანობის მიმართ.

საზოგადოებას განემარტა, რომ გზშ-ს ანგარიშისა და ზდგ-ს ნორმების პროექტის მომზადების ეტაპზე კომპანიას ექნება შესაძლებლობა წარუდგინოს მათ კონკრეტული ციფრებით ამა თუ იმ დამაბინძურებელი ნივთიერების მიმართ დადგენილი ნორმების და საწარმოს მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია, როგორც გაფრქვევის წყაროსთან (გაფრქვევის მილში) ასევე გაფრქვევის წყაროდან მოშორებით (ყოველ 100 მეტრში). ამასთან, მიუხედავად იმისა რომ დასახლებული პუნქტი საწარმოდან დაშორებულია 1200 მეტრით, მოქმედი კანონმდებლბის თანახმად, საწარმოს ვალდებულება აქვს მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმები შეიმუშაოს და სამინისტროსთან შეათანხმოს გაფრქვევის წყაროდან 500 მ რადიუსში.

მოხსენების შემდგომ საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოებას პროექტთან დაკავშირებით სამინისტროსთვის ოფიციალურად არ მოუმართვთ წერილობით, არგუმენტირებული შენიშვნებით და მოსაზრებებით.

სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებები.

## გზშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი

1. <u>**გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ ინფორმაციას.
2. <u>**გზშ-ს ანგარიშს უნდა დაერთოს**</u> „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

3. <u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს**</u> სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ს პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;

4. <u>**გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს:**</u>

- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილების საჭიროების დასაბუთება;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის აღწერა;
- საწარმოს ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები (სიმძლავრე, მასშტაბი);
- თითოეული ტექნოლოგიური ხაზის და ტექნოლოგიური პროცესების დეტალური აღწერა;
- ტექნოლოგიური ალტერნატივები შესაბამისი დასაბუთებით;
- საწარმოში არსებული ინსინერატორების სამუშაო რეჟიმის დეტალური აღწერა;
- ახალი, სათადარიგო ინსინერატორის სამუშაო რეჟიმის დეტალური აღწერა;
- ინსინერატორის მოდელი „ვესტა პლუსის“ დანადგარში ინსინერაციის/დამუშავების პროცესების დეტალური აღწერა;
- ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ნაცრის ზუსტი რაოდენობა;
- არსებული ინსინერატორის დემონტაჟის და შემდეგი მართვის საკითხი;
- სათადარიგო ინსინერატორის განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- მიწის სამუშაოების აღწერა;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა/ რეკულტივაციის საკითხი;
- მიწისქვეშა საწყობის პარამეტრების დეტალური აღწერა;
- საწარმოს ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლა;
- საწარმოს ტერიტორიიდან მანძილი უახლოესი საცხოვრებელ სახლამდე, მდინარემდე და სხვა უახლოეს სამრეწველო ობიექტამდე; ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ახლომდებარე მოქმედი ობიექტების და მათი დანიშნულების შესახებ;
- საწარმოს ტერიტორიის GIS კოორდინატები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და სამუშაო გრაფიკი;
- წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები;
- ნარჩენების მართვის გეგმა;
- ექსპლუატაციის ეტაპზე მიღებული და წარმოქმნილი, სარკოფაგში (საწყობი) განსათავსებლად გათვალისწინებული ნარჩენები კლასიფიცირებული უნდა იყოს ,, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ'' საქართველოს მთავრობის N426 დადგენილების შესაბამისად;
- ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის შესახებ მონაცემები და შემდგომი მართვის ღონისძიებები;
- მიღებული ნარჩენების კოდები, რაოდენობა და მათი შემდგომი მართვის ღონისძიებები;
- ნარჩენების დამუშავების (მათ შორის წინასწარი დამუშავების) ოპერაციის კოდები;
- ნარჩენების დროებითი შენახვა/დასაწყობებასთან, შეგროვებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები;

- დასაწყობებულ ნარჩენებზე კონტროლის მეთოდები და დასაწყობების პირობების დეტალური აღწერა ვადების მითითებით;
- სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაცია, მათი ტრანსპორტირება და დროებითი დასაწყობება საწარმოო ტერიტორიაზე;
- ინსინერატორის შედეგად მიღებულ ნაცრის ტოქსიკურობისა ან/და შემადგენლობის და მისი შესაბამისი კვლევების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენა.
- ნაცრის, მათ შორის სახიფათო ნარჩენების მართვის დეტალური ღონისძიებები;
- ახალი, ინსინერატორის ჰაერის გაწმენდის სისტემის აღწერა;
- საწარმოს ფუნქციონირების დროს შესაძლო ავარიული სიტუაციების აღწერა და მათი მართვის გეგმა;
- საწარმოს საქმიანობის და დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება;

5. <u>გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება მათ შორის:</u>

- ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მიწისქვეშა საწყობის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, აგრეთვე სათადარიგო ინსინერატორის დაყენებისა და ექსპლუატაციის ეტაპზე. ემისიები ინსინერაციისას, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში და სხვა;
- ზემოქმედება ნიადაგზე და შესაძლო დაბინძურება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ხმაურის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება მოწყობის/ექსპლუატაციის ეტაპზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე;
- ნარჩენების წარმოქმნით მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედების შეფასება;
- წარმოქმნილი ნარჩენების შემოტანაზე, ინსინერატორში ჩატვირთვაზე, შეფუთული ნაცრის დროებით განთავსებაზე, მონიტორინგის საკითხები;
- ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებსა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- მიწისქვეშა საცავის მოწყობის და სათადარიგო ინსინერატორის მონტაჟისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;
- მიწისქვეშა საცავის მოწყობის და სათადარიგო ინსინერატორის მონტაჟისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა;
- გზშ-ს ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

- საწარმოს ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა);
- **გზშ-ს ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ;**
- **გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით).**

**კანონმდებლობის მიხედვით დროებითი შენახვის ობიექტზე ნარჩენები ინახება 3 წელზე ნაკლები დროით, თუ განკუთვნილია აღდგენისთვის ან 1 წელზე ნაკლები დროით. სამინისტროს გადაწყვეტილებით შესაძლებელია სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვის ვადის ერთჯერადი, არაუმეტეს 1 წლით გაგრძელება, თუ დასტურდება, რომ ამით ზიანი არ მიადგება გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. 10 ტონაზე მეტი მოცულობის სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის შემთხვევაში საჭიროა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული პროცედურების გავლა. ხოლო არანაკლებ 2 და არა უმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენების მოცულობის შემთხვევაში, საქმიანობის რეგისტრაცია.**
**ნარჩენების დროებითი დასაწყობების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავების და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ" და №145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ" დადგენილებების მოთხოვნები.**
**კომპანიამ გზშ-ის ანგარიშში უნდა განიხილოს მხოლოდ სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, ზემოაღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად.**
**ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სახელწოდება წარმოდგენილი უნდა საქმიანობის შესაბამისად.**

## **დასკვნითი ნაწილი:**

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შპს „მედიკალ ტექნოლოგის" მიერ წარმოდგენილ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. მარტყოფში ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების და სახიფათო ნარჩენების განსათავსებლად მიწისქვეშა საწყობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით.